შპს „გურიაჯფ“ "GURIA GF" LTD

N12/04

2021წ.

ს.ს.ი.პ. „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს უფროსს

ბატონ არჩილ ნიკოლეიშვილს

ბატონო არჩილ,

გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანია შ.პ.ს. „გურია ჯფ“ (ს/კ 242009009) ფლობს ხე-ტყის დამზადების სპეციალურ ლიცენზიას N100071 გურიის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებში (ჩოხატაურის სატყეო უბანი - ზოტის და ზემო სურების სატყეოების ნაწილი ფართობი).

თქვენი 2020 წლის 13 ივლისის N11/3204 წერილით, მოგვეწოდა ს.ს.ი.პ. „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს უფროსის ბრძანება N1079/ს (08/07/2020წ.) „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ტყის ფონდში (N100071 ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებულ ფართობზე ზოტისა და ზემო სურების სატყეოებში) საორიენტაციოდ 7213 ჰა მიწის ფართობზე ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) და ტყითსარგებლობის გეგმის შედგენის მიზნით ტექნიკური დავალების დამტკიცების შესახებ“.

მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული ტექნიკური დავალების შესაბამისად განვახორციელეთ ტყის ინვენტარიზაციის ბოლო ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები - ტყითსარგებლობის გეგმის პროექტის შემუშავება.

განსახილველად წარმოგიდგენთ ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით N100071 გათვალისწინებული ფართობისათვის შედგენილ ტყითსარგებლობის გეგმას (სრული კომპლექტი).

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს განახორციელონ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

დანართი: 700გვერდი და 1 CD.

პატივისცემით, 2. ჯინჭარაძე მამუკა ჯინჭარაძე

დირექტორი

ს.ს.ი.პ. ეროვნული სატყეო სააგენტო
№ 4326/11
13 04 2021 წ.

ჩოხატაური, სოფელი ნაბელლავი, ტელ:577 62 00 75